კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ПРОЛЕТАРЕБО ДГЕЛА ქვეყნისა, შეერთდით!

გამოცემის 44-ე წელი | № 55 (12871) | პარასკევი, 6 მარტი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲥᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ! ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲰᲔᲓᲐᲕᲗ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲘᲡ Ვ. ᲞᲔᲠᲔᲒᲔᲒᲔᲜᲝᲕᲘᲡ, ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲔᲣᲦᲚᲐᲓᲔᲒᲘᲡ Ნ. ᲑᲘᲩᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ Ი. ᲝᲚᲔᲔᲜᲘᲙᲘᲡ წᲔᲠᲘᲚᲡ „ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ“, რᲝᲛᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚი ᲘᲧᲝ „ᲒᲐᲖᲗᲝ „ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲘᲡ“. ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲛᲐᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲐ ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲡᲐᲮᲝᲖᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲠᲘᲝᲛᲐᲛ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ

— ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲖᲗᲝ „ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ რᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ, რᲔᲡᲐᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ — ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲘᲝᲠᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲔᲣᲦᲚᲐᲓᲔᲒᲘᲡ Ნ. ᲑᲘᲩᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ Ი. ᲝᲚᲔᲔᲜᲘᲙᲘᲡ წᲔᲠᲘᲚᲡ „ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ“, რᲝᲛᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚი ᲘᲧᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲐ ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲡᲐᲮᲝᲖᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲠᲘᲝᲛᲐᲛ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ რᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ, რᲔᲡᲐᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ — ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲘᲝᲠᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲔᲣᲦᲚᲐᲓᲔᲒᲘᲡ Ნ. ᲑᲘᲩᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ Ი. ᲝᲚᲔᲔᲜᲘᲙᲘᲡ წᲔᲠᲘᲚᲡ „ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ“, რᲝᲛᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚი ᲘᲧᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲐ ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲡᲐᲮᲝᲖᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲠᲘᲝᲛᲐᲛ.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲣᲤᲝᲜᲚᲝᲑᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲮᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲤᲠᲘᲤᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲒᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲮᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲗᲘ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲗ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ: „ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲐᲗᲔᲡᲐᲕ, ᲘᲛᲐᲡ ᲛᲘᲝᲛᲘᲯᲝᲠ“.

ᲑᲘᲕᲠᲘ ᲒᲐᲜᲘᲧᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚი ᲐᲥᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ, ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲐᲠᲐᲠᲛᲝᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲗᲘᲐᲓᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲐ ᲐᲛᲤᲐᲛᲐᲓ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ, ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲒᲘ, ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ? ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ, ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲮᲛᲐ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲝᲑᲡ! ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲗᲣ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲐᲢᲐ, ᲞᲐᲠᲢᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲕᲜᲔ, ᲙᲐᲭᲐᲠᲑᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲘᲪᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲦ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲨᲣᲚᲘᲐ. ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲨᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲒᲘ, ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ? ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ, ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲮᲛᲐ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲮᲝᲠᲔᲑᲡ! ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲗᲣ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲐᲢᲐ, ᲞᲐᲠᲢᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲕᲜᲔ, ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲝ ᲪᲝᲢᲐ რᲐᲛ ᲛᲝᲣᲜᲓᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲘᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲠᲐᲛᲔᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲠᲗᲜᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲐ. ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲣᲙᲜᲝᲚᲝᲑᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲮᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲐᲓ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ. ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ. ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ: „ᲘᲕᲐᲜ ᲘᲕᲐᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘ. ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲒᲘ? ᲙᲐᲠᲒ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲖᲝᲛᲘᲗ ᲛᲘᲕᲣᲓᲒᲔᲗ, ᲛᲣᲨᲐᲗᲐᲮᲝᲠᲐᲡ, ᲚᲝᲗᲡ, ᲖᲐᲠᲛᲐᲪᲡ — ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲖᲝᲛᲘᲗ.

ᲠᲝᲪᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪ ᲛᲐᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲕᲣᲬᲝᲓᲔᲗ, ᲔᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲨᲔᲛᲨᲚᲔᲚᲘᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ — ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲮᲣᲗᲐᲡᲗᲐᲜᲘᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲠᲝᲛ

პარტიული ცხოვრება

პარტიული ბიუროს სხდომა ფერმაში

ლიღნალი. (საკ. კორ.). ცხვრის გამოზამთრების შედეგებსა და ნამატის მთლიანად გაზრდის საკითხებზე იმსჯელა ლიღნალის საწარმოო სამმართველოს წნორის კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს სხდომამ, რომელიც ალაზნის ველზე მეცხვარეობის ფერმაში გაიმართა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. გოძიაშვილმა, პარტიული ბიუროს მდივანმა მ. ალიაშვილმა, სოფლის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ზოოტექნიკოსმა ფ. სიმონიშვილმა აღნიშნეს, რომ ბრიგადამა, რომლებსაც ა. ჯავაშვილი და ა. ფხოველიშვილი ხელძღვანელობენ, ცხვრის ფარები სანიმუშოდ გამოზამთრეს, ნამატსაც მთლიანად ინარჩუნებენ. მაგრამ ზოგ ბრიგადაში დაუდევრად ეკიდებიან საქმეს, მოუვლელობით, სკვების ნაკლებობით ცხვარი დუღლურდა და იხოცება.

მეოთხე ბრიგადაში (ბრიგადირი ლ. ჯავაშვილი) შრომის დისციპლინა დაბალია, არ იყენებენ მწვანე სკვების რესურსებს. ამიტომ აქ ცხვრის საკვდილიანობის შემთხვევებია.

კოლმეურნეობის გამგეობა ნაკლებად ზრუნავს მეცხვარეობის ფერმის მწყემსებით დაკომპლექტებისათვის, ამიტომ მწყემსების დიდი ნაწილი დაქირავებულია.

ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მეცხვარეობის ფერმის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

კარგი ღონისძიება

რუსთავი. (საკ. კორ.). კარგი ღონისძიება განახორციელა ამ დღეებში პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა — მეტალურგთა კულტურის სახლში მშობელთა კონფერენციაზე მოიწვია ქალაქის მშრომელნი. განხილულ იქნა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხი. მოხსენება გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ო. წვერავამ.

კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდის ფორმებსა და მეთოდებზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. ხარბედიამ, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა დ. ბოცვაძემ, მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა შ. კოდუამ, № 6 საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ჩხეიძემ და სხვებმა.

მშობელთა საქალაქო კონფერენციამ მიიღო მმართველობა ქალაქის ყველა მშობლისა და პედაგოგისადმი.

ვიშრომოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად

გორი. (საკ. კორ). ბამბეულის კომბინატში საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტმა და კომბინატის პარტიულმა კომიტეტმა გამართეს კითხვა-პასუხის საღამო თემაზე — „ვიშრომოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად“.

ფეიერვერკებს მრავალ კითხვაზე პასუხი გასცეს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ილარიშვილმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ლაცაბიძემ, მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა ლ. მათეშვილმა, გორკაჭრობის დირექტორმა ი. სოხაძემ, დოცენტმა შ. არსენიძემ, კომბინატის დირექტორმა ვ. სორდიამ.

ცოდნის მეგრძოლი შტაგი

გორჯომი. (საკ. კორ.). საინტერესოდ აწყობს მუშაობას შუშის ქარხნის პარტორგანიზაციასთან საზოგადოებრივი საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტი, რომელსაც ინჟინერ-ეკონომისტი ც. ჩიკვაიძე ხელძღვანელობს.

„ქიმიის როლი სახალხო მეურნეობაში“ — ასეთი იყო ეკონომიური კონფერენციის თემა. ხოლო სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მასალებს მიეძღვნა აქ გამართული კითხვა-პასუხის საღამო.

ქიმიის ცოდნის უნივერსიტეტი

საქართველოს კპ თელავის სამრეწველო და სასოფლო პარტიული კომიტეტების პოლიტიკური განათლების კაბინეტთან ნაყოფიერად მუშაობს ქიმიის ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც აქ შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შემდეგ.

ამ დღეებში გამართულ მეცადინეობაზე უნივერსიტეტის მსმენელებმა მოისმინეს ლექცია — „ნავთობი და მისი გამოყენება სახალხო მეურნეობაში“.

უნივერსიტეტის სამუშაო გეგმა ითვალისწინებს ეკონომიური კონფერენციების, ქიმიის საღამოების გამართვას, აგრეთვე ექსკურსიებს ქიმიის საწარმოებში.

ირა კიკნაძე.

თელავის სპმრეწველო და სასოფლო პარტიული კომიტეტების პოლიტიკური განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკარი.

კომუნისტთა წინადადებებს — ყურადღება

ბათუმი (საკ. კორ.). პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ამას წინათ განიხილა საკითხი, თუ რა ყურადღება ეექცევა პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტების მიერ გამოთქმულ წინადადებებსა და შენიშვნებს.

ბიუროზე აღინიშნა, რომ ქალაქის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში, მაგალითად, მანქანათსამშენებლო ქარხანაში, თამბაქოსა და სამკერვალო ფაბრიკებში, პრაქტიკულად ხორციელდება კომუნისტთა განაწესი. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან კრებებზე მიღებულ დადგენილებებსა და კომუნისტთა წინადადებებს. საკომდიტრო ფაბრიკაში ბევრ კომუნისტს პარტიული დავალება არა აქვს, კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა თავისი საქმიანობა ვერ გარდაქმნა, სუსტად მუშაობს ამხანაგური სასამართლო.

ამ საკითხებზე კი საანგარიშო კრებამ მუთითა ახლადარჩეულ პარტიულ ბიუროს.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით.

მეცნიერება და ცხოვრება

დიადი პერსპექტივები

ენერგეტიკული მზე ციმბირში

ბრატსკის ჰიდროელექტროსადგური და სამრეწველო კომპლექსი

ა. ბ. ბ. ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1963 წლის 9 დეკემბერს გაკეთებულ მოხსენებაში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1964 წლის 14 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში ამომწურავი სისრულით ასახულია ის უაღრესად დიდი როლი, რომელსაც ქიმია ასრულებს თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში. ამ მხრივ ქიმიური მეცნიერებისა და ინდუსტრიის წინაშე საბჭოთა ხალხი სავსებით განსაკუთრებულ ამოცანებს აყენებს.

როგორც ცნობილია, ქიმია, მისი საწყისებიდან მოყოლებული, ყოველთვის ეთარდებოდა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად, იმ პრაქტიკულ მოთხოვნილებათა შესაბამისად, რომლებსაც მის წინაშე აყენებდნენ სოფლის მეურნეობა, მრეწველობის სხვადასხვა დარგები და მედიცინა.

ცხოვრების მიერ დასმული ამოცანების გადაჭრის პასუხად ჯერ კიდევ უძველეს დროში შესრულებული იყო მრავალი ცდა სამკურნალო საშუალებათა მოსამზადებლად, ქსოვილების შესაღებავად, ტყავის დასამუშავებლად და სხვ., რისთვისაც უმთავრესად მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს იყენებდნენ; ახლა ქიმიურ ლაბორატორიებსა და ქარხნებში წარმატებით ახორციელებენ მთელი რიგი არა მარტო წმინდა ორგანული წარმოების პროდუქტების სინთეზს, არამედ მრავალრიცხოვანი და ხშირად უნიკალური თვისებების მქონე ორგანული ნაერთების სინთეზსაც, რომელთა მსგავსი ბუნებას არასოდეს არ შეუქმნია.

ამჟამად ქიმიური მეცნიერება სიმწიფის ისეთ სტადიაში იმყოფება, რომ მისი „ბოწყინავე რაზმები“ თანამედროვე ბუნებისმეტყველების ყველაზე კარდინალური პრობლემების გადაჭრის უახლოეს მისადგომებთან ახორციელებენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას. მართლაც, ბიოლოგია და ფიზიკასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ორგანული ქიმიის უკანასკნელი მიღწევები იმის სრულ რწმენას იძლევა, რომ არცთუ შორეულ მომავალში ცილების სინთეზის პრობლემა წარმატებით იქნება გადაჭრილი, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებითად გადაჭრილი იქნება თვით სიცოცხლის პრობლემა. იგივე შეიძლება ითქვას მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხის — ფოტოსინთეზის პრობლემის შესახებაც. მეტად საინტერესო პერსპექტივები ისახება აგრეთვე ნავთობის ნახშირწყალბადებიდან მათზე გარკვეული სახის მიკროორგანიზმების მოქმედებით ცილებით მდიდარი ისეთი პროდუქტების მისაღებად, რომლებიც სავსებით გამოსადეგია ცხოველების კვებისათვის.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, ხოლო შემდეგ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის თებერვლის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მინერალური სასუქებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის გზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხს. აკადემიკოსი დ. პრიანიშნიკოვი მოსაგლიანობას განიხილავდა როგორც სასუქების წარმოებულს. 1970 წლისათვის მინერალური სასუქების წარმოების დონე 70-80 მილიონ ტონამდე გაიზრდება. ამ მიმართულებით პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გარანტიას.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა სარეველა მცენარეების, მცენარეთა მავნებლების და სხვადასხვა დაავადებათა მიზეზით გამოწვეული ზარალი ხშირად 20 პროცენტს აღწევს. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასა და სიტყვაში მინერალური სასუქების გვერდით განსაკუთრებული ყურადღება დამობილი აქვს ამ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიურ საშუალებათა მრეწველობის განვითარებას. ამ მრეწველობის პროდუქცია 1970 წლისათვის 800 ათას ტონას მიაღწევს.

წინა პლანზეა დაყენებული აგრეთვე პლასტიკური მასების, სინთეზური ბოჭკოების და საერთოდ სინთეზური მასალების მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხები. ქიმიური მრეწველობის დასახელებული დარგები უკვე ახლა დიდ როლს ასრულებენ ჩვენი ქვეყნის სახალხო შეურნეობაში. ამჟამად ეს დარგები არაჩვეულებრივად ინტენსიურად ვითარდებიან და ხასიათდებიან კიდევ უფრო მეტად სწრაფი ზრდის ტენდენციით ‘ახლო მომავალში. საყურადღებოა, რომ მარტოოდენ მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის ბაზით ყოველწლიურად 1.000-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი და პატენტი ქვეყნდება.

საბედნიეროდ, საქართველოს ამჟამად უკვე აქვს დიდი ქიმიის ძლავრი ობიექტები და მოკლე ხანში სრული დატვირთვით მწყობრში ჩადგება ქიმიური იხდუსტრიის ახალი გიგანტები, რომლებიც სულ უფრო მეტად დაეკმაყოფილებენ საქართველოს და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის მოთხოვნილებას მინერალურ სასუქებზე, კაპრონის ნაწარმსა და სხვა ქიმიურ მასალებზე. უდავოა, ქიმიური მრეწველობის მუშაკების და ქართველი ქიმიკოსების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს დასახელებული ობიექტების ყოველმხრივი განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელის შეწყობა.

ამასთანავე რამდენადაც სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის პირობებში სავსებით აუცილებელია ქიმიის ყველა დარგის ჰარმონიული განვითარება, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებათა საფუძველზე სათანადო ყურადღება დაეთმობა აგრეთვე ორგანული ქიმიის სხვა დარგებსაც. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში, ფფაქრობთ, აუცილებელია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფართოდ გაშლა ორგანული სინთეზების მიმართულებით, უპირატესად ნავთობქიმიური პროდუქტების ბაზაზე. მათ შორის პირველ რიგში გათვალისწინებულ უნდა იქნას სამუშაოები მცენარეთა ზრდის ახალი, მაღალეფექტური სტიმულატორების, ჰერბიციდების, ზხამქიმიკატების და სხვათა მისაღებად, რაც ესოდენ საჭიროა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისათვის. ეს მიმართულება მჭიდროდ არის დაკავშირებული საკითხების იმ კომპლექსთან, რომელიც ზოგადად მოიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა სინთეზს.

სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის სამუშაოთა გაძლიერება ახალი სინთეზური გზების გამოსაძებნად მოგვცემს როგორც უკვე ცნობილ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ახალი სტრუქტურული ანალოგების მიღებას, ისე პრინციპულად ახალი, მაღალი ფიზიოლოგიური აქტივობის მქონე პრეპარატების შექმნის საშუალებას. დასასრულ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია გაიშალოს შემოქმედებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის დარგში, იმ კოხერტული ამოცანების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებში. ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ჩვენს რესპუბლიკაში ორგანული ქიმიის ზოგიერთი ისეთი დარგისათვის ხელის შეწყობა, რომლებიც ჭეიდროდ დაკავშირებული არიან ახალი მონომერებისა და პოლიმერების სინთეზებთან, აგრეთვე არსებული პოლიმერული მასალების ქიმიური მოდიფიცირების საკითხებთან.

ჩვენი ქვეყნის დიად მშენებლობებზე

ენერგეტიკული მზე ციმბირში

ბრატსკის ჰიდროელექტროსადგური და სამრეწველო კომპლექსი

დიდი რუსი ფილოსოფოსი და რევოლუციონერი ა. გერცენი წერდა:

„ციმბირს დიდი მომავალი აქვს. მას უყურებენ მხოლოდ როგორც სარდაფს, რომელშიც ბევრია ოქრო, ბევრია ბეწვეული და სხვა სიმდიდრე, მაგრამ რომელიც ცივია, თოვლით არის დაფარული, ღარიბია არსებობის საშუალებებით, არ არის დასერილი გზებით, არ არის დასახლებული. ეს სწორი არ არის. რუსეთის მომავალნიმელენ მთავრობას, რომელიც ყველაფერს ძალადობით, ჯოხით აკეთებს, არ ძალუძს მისცეს ის მაცოცხლებელი ბიძგი, რომელიც წინ გაიტაცებდა ციმბრის ამერიკული სიჩქარით“.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაისვა საკითხი ციმბირის ათვისების შესახებ, რისთვისაც საჭირო იყო ენერგეტიკული ბაზის შექმნა.

პირველ ხუთწლიან გეგმაში შეტანილი იქნა ანგარის პრობლემის კომპლექსური შესწავლის საკითხი. 1950 წელს დაიწყო ანგარაზე პირველი ჰესის — ირკუტსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე ნახევარი მილიონი კილოვატია. 1957 წლის ბოლოს საკავშირო საპროექტო ინსტიტუტმა „ჰიდროენერგოპროექტმა“ დაამთავრა ბრატსკის ჰესის ტექნიკური პროექტი.

ანგარა უნიკალური მდინარეა ენერგეტიკული რესურსების თვალსაზრისით. თუ ბარის მდინარეები, როგორიც არის ვოლგა, ხასიათდებიან წყლის მოდენის დიდი რაოდენობით და მცირე ვარდნით, ანგარას ახასიათებს წლის განმავლობაში სტაბილური წყალსიუხვე და დიდი ვარდნა. ბაიკალის ტბიდან გამოდინების ადგილას მდინარის ხარჯია 1.924 კუბური მეტრი წამში, ხოლო ბაიკალიდან ენისეის შესართავამდე ანგარის ვარდნა 380 მეტრია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ანგარას ახასიათებს წლის განმავლობაში თითქმის უცვლელი მოდენა. მას აქვს ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის წყლით უზრუნველყოფის მსოფლიოში უველაზე მაღალი — 94 პროცენტი. ბრატსკჰესი 4,5 მილიონი კილოვატის სიმძლავრეს მიაღწევს და გამოიმუშავებს წელიწადში 20,8 მილიარდ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას. კრასნოიარსკის ჰესი კი 5 მილიონ კილოვატზე მეტი სიმძლავრის იქნება, მაგრამ მისი გამომუშავება ბრატსკის ჰესის გამომუშავებაზე ნაკლები იქნება — 18,8 მილიარდი. კილოვატ-საათით, რადგან ჰესის წყლით უზრუნველყოფის პროცენტი ნაკლებია ვიდრე ბრატსკისა, და შეადგენს 71 პროცენტს.

აი რატომ არის ბრატსკის ჰესი უნიკალური.

ეს ჰიდროელექტროსადგური მდინარე ანგარაზე ჰესების კასკადის მეორე საფეხურია ირკუტსკჰესის შემდეგ, მესამე კი უსტ-ილიმსკი იქნება. იგი შენდება ბრატსკის ქვემოთ 300 კილომეტრის დაშორებით. მისი სიმძლავრე მეტი იქნება, ვიდრე ბრატსკის ჰესისა.

ანგარის კასკადს ჰკვებავს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ტბა — ბაიკალი, რომელსაც 336 მდინარე ერთვის. ტბიდან კი მხოლოდ ანგარა გამოდის. ბაიკალში იმდენი წყალია, რაც ბალტიის ზღვაში და 93-ჯერ მეტი, ვიდრე აზოვის ზღვაში.

ბრატსკის ჰესის კაშხალი აშენდა ე. წ. პადუნის ვიწროების ადგილას. მილიონი წლების წინათ ანგარას, რომელიც ძირითადად ახლანდელ კალაპოტში მოედინებოდა, გზა გადაუღობა ვოლკანური ლავის ძლავრმა ნაკადმა. შეიქმნა დიდი ფულალაცავი. შემდგომი ათასეული წლების განმავლობაში წყალმა იწყო ამ წყალსაცავიდან გადადინება, გაცვეთული ლავის, როგორც წყალსაშვის, გადალახვით და შექმნა ჩანჩქერი — 100 მეტრის ვარდნილით, რომელსაც პადუნი დაარქვეს. ეს გიგანტური ჩანჩქერი ანგარეცდა ლავას და შექმნა ქვის უმაგრეს ქანში — დიაბაზში პადუნის ვიწროები. წყალმა დღეისათვის ვერ შეძლო დიაბაზის მთელი ფენის გარეცხვა. მისი სისქე ამჟამად 40 მეტრს აღწევს. დიაბაზის ამ ვიწრო გასასვლელშია სწორედ აგებული ბეტონის კაშხალი, რომლის სიმაღლე 130 მეტრია.

წყლის სიღრმე კაშხალთან 125 მეტრს აღწევს. კაშხალის საერთო სიგრძეა 5,14 კილომეტრი, მისი ბეტონის ნაწილისა, რომელიც მდინარის კალაპოტის პადუნის ვიწროშია ამოყვანილი, 1.452 მეტრია. კაშხალის დანარჩენი ნაწილი აგებულია ქვიშისაგან, ძირითადად ჰიდრომექანიზაციის მეთოდით. ქვიშა მცურავი მიწასაწოვრებით მუშავდება იქვე მდ. ანგარის ჭალებში ჰესის ქვედა ბიეფში, მისგან 10 კილომეტრის დაშორებით, ძირითადად კუნძულ ზუის მიდამოებში. იქიდან ქვიშას აწევდიან 108 მეტრ სიმაღლეზე დაახლოებით 12 კილომეტრ სიგრძის მილსადენებით. პულპის დაჩიჩვა ხდება მიწსაწოვებისა და ოთხი სატუმბავი სადგურის გამოყენებით 600 მილიმეტრი დიამეტრის მილებში.

ბრატსკის ჰესის მშენებლობა ეს თანამედროვე, მძლავრი ტექნიკური საშუალებებით შეიარაღებული კომბინატია, რომლის 45-ათასიანი კოლექტივი რთულ და მრავალფეროვან ტექნიკურ საკითხებს წყვეტს და აწარმოებს სამუშაობს მავნე მძიმე პირობებში. ამიტომ გასაკუთრებულ ღონისძიებებს ახორციელებენ მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაობის განუწყვეტლობის უზრუნველსაყოფად. ხრეშის, ღორღის, ქვიშისა და ბეტონის ზიდვას ახდენენ უმეტესად 25 და 15-ტონიანი ავტოთვითსაცლელებით. მშენებლობის საბაგო მანქანების პარკი რამდენიმე ათასი მანქანისაგან შედგება. გზები განუწყვეტლივ იწმინდება გრეიდერებით, რომ ინერტული მასალისა და ბეტონის მზიდავ მანქანებს შეუფერხებლად შეეძლოთ მოძრაობა. გზაში მანქანის ოდნავი შეყოვნება ბეტონის ან ქვიშის გაყინვას გამოიწვევს მიუხედავად იმისა, რომ მანქანების ძარეს გარედან დამცველი ცხელი წყლით სავსე პერანგები აქვთ და გზაშიც ავტომანქანის გადამუშავებული გაზები ათბობენ ამ წყალს.

ზემოთ აღნიშნულ მოსამზადებელ სამუშაოთა გარდა გასულ რვა წელიწადში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის წარმოსადგენად საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე ციფრი.

შესრულებულია 58 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები. განვლილ პერიოდში ავტომანქანების პარკმა დაბარჯა ორ მილიონ ტონაზე მეტი ბენზინი.

უშუალოდ ჰესის მშენებლობაზე ძალიან ცოტა ხალხია. აქ ზემძლავრი ამწეები მუშაობენ. ხუთი უნიკალური ორკონსოლიანი ამწეს ისრის სიგრძეა 52 მეტრი, ხოლო საკიდი ბადია 11 ტონა ბეტონს იტევს. გარდა ამისა, კაშხალის მშენებლობაზე მუშაობს კიდევ ხუთი პორტალური ამწე.

ბრატსკჰესის მშენებლები ეხმარებიან ენგურჰესის მშენებლებს. ბრატსკიდან გამოიგზავნა და ენგურზე უკვე მუშაობს მძლავრი მოსიარულე ექსკავატორი. მალე დაიწყება მიწასაწოვების მონტაჟი.

შენდება დიდი სამრეწველო ქალაქები: ბრატსკჰესის რაიონში 30 კილომეტრ რადიუსში მის ირგვლივ, მეტალურგთა ქალაქი ჟელეზნოგორსკი მდინარეების როსოხასა და კორშუნიხის შესართავთან. დაწყებულია ქალაქ ნეფტელენსკის მშენებლობა, რადგან ლენის ექსპედიციის სამმა ჭაბურღილმა უკვე მოგვცა ნავთობი. ნავთობშემცავი რაიონის პირველი რიგის ტერიტორია რამდენიმე კილომეტრზეა გადაჭიმული. აქ ნავთობის მარაგის ბაზაზე იქმნება დიდი ქიმიის ახალი მძლავრი კერა.

ასეთია ბრატსკის სიმდიდრეთა გიგანტური საკუნძეო. ის დიდი ციმბირის ერთი კუთხეა, რომლის გაღვიძებაზე ოცნებობდნენ დიდი რუსი მოაზროვნენი გერცენი, ჩერნიშევსკი, ჩეხოვი და სხვები. მხოლოდ ლენინის ეპოქამ, სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა იმის შესაძლებლობა, რომ ამოქმედებულიყო ციმბირის ეს უდიდესი სამრეწველო პოტენციალი.

დაწყებულია მდინარე ენისეიზე საიან-შუშენსკოეს სამრეწველო კომპლექსის მშენებლობა სოფ. შუშენსკოეს რაიონში, სადაც გადასახლებაში ვ. ლენინი ცხოვრობდა. საიანის ჰესის სიმძლავრე 6 მილიონი კილოვატი იქნება. იგი გამოიმუშავებს მეტ ენერგიას, ვიდრე ბრატსკის ჰესი, სახელდობრ 23,5 მილიარდ კილოვატს წელიწადში.

ეს სამრეწველო კომპლექსი აიგება საიუბილეო 1970 წლისათვის და მიეძღვნება დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ა. ჯვარშეიშვილი,

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

სურათზე: ბრატსკის ჰესის კაშხალის საერთო ხედი.

ფოტო ა. მოროზოვისა.

მოქალაქის უფლებათა ქომაგი

სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში ხაზგასმით აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, სამართლებრივი ნორმების სრულყოფას.

საბჭოთა სისტემის სამართლის კანონმდებლობას ამოცანად დასახული აქვს სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილების დაცვასთან ერთად მტკიცედ დაიცვას მოქალაქის პიროვნება და უფლებანი.

ადვოკატთა კოლეგიები მოწოდებული არიან განახორციელონ წინასწარ გამიძებასა და სასამართლოში ბრალდებულთა, დაზარალებულთა, მაძიებელთა და მოპასუხეთა დაცვა, აგრეთვე გაუწიონ სხვა იურიდიული დახმარება მოქალაქეებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

დაცვის ინსტიტუტისათვის უფლებათა გაფართოება თავისთავად გულისხმობს ზრუნვას იმისათვის, რომ ოდნავაც არ შეილახოს მოქალაქეთა კანონიერი უფლებები.

კანონის ზუსტად განხორციელების უზრუნველსაყოფად საქართველოს ადვოკატთა უმრავლესობა დიდ და სერიოზულ მუშაობას ეწევა, ეხმარება მართლმსაჯულებას კანონის სწორად და პირადთვნელად განხორციელების საქმეში. ახალგაზრდა ადვოკატებისათვის სისტემატურად ეწყობა სემინარები.

დიდ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდა კადრების აღზრდისა და მათი პროფესიული დაოსტატებისათვის ისეთი გამოცდილი და მოწინავე ადვოკატები, როგორიც არიან: ბ. ბარათაშვილი, ა. ელოვანი, გ. ყარეველიძე, ა. საგინაშვილი, ნ. გიგინეიშვილი, შ. გვათუა, ვ. ყორაშვილი, ვ. სიდამონიძე, გ. ლეონავა და სხვები.

მეტად რთული და პასუხსაგებია ცხოვრების სწორი გზიდან აცდენილ პირთა ინტერესების დაცვა, უფრო პასუხსაგები კი ის არის, დაცვა ისე განხორციელდეს, რომ უდანშაულო კაცი არ დაიხაროს.

მრავალი ისეთი საგალითის მოყვანა შეიძლება, როცა კანონის ზუსტად დაცვის უზრუნველსაყოფად ადვოკატმა დაცვის სამართლიანი პოზიცია აირჩია.

ქუთაისში, ბაზრის ახლოს მილიციის მუშაკებმა შენიშნეს რაღაც საეჭვო საქმიანობაში გართული მოქალაქე ჩიკვაშვილი.

მილიციის მუშაკების მოახლოება ვიღაცამ სტვენით აცნობა ჩიკვაშვილს, რომელიც გაიქცა და მიმალვა სცადა, მაგრამ დაკავებულ იქნა. მას ტანზე შემოკრული ჰქონდა საქონელი.

იმ ადგილზე, სადაც ჩიკვაშვილი იყო შენიშნული, დაკავებულ იქნა ოთარ თადეოზის-ძე ბაკურაძე ხელჩანთით, რომელშიც მამაკაცის 24 წყვილი წინდა აღმოჩნდა.

ორივენი მილიციაში წარადგინეს. ჩიკვაშვილმა განაცხადა, რომ წინდები მას არ ეკუთვნის, ხოლო ტანზე შემოკრული საგნები შეიძინა ნათესავებისათვის. ბაკურაძე კი „ამტკიცებდა“, რომ ერთ წყვილ წინდას ყიდულობდა ჩიკვაშვილისაგან, არჩევდა ხელჩანთაში მისთვის სასურველი ფერის წინდას და რომ მას ჩანთა ხელში შეატოვა გაქცეულმა ჩიკვაშვილმა.

დაკითხულ იქნა შემთხვევის ადგილზე მყოფი მოწმე მაწონაშვილი. მეორე დაკითხვისას მან აჩვენა, რომ ბაკურაძემ შესთავაზა წინდები საყიდლად, მაშინ როცა ეს აზრი, რომ ჩიკვაშვილი დასტენით სწორედ ამ მაწონაშვილმა გაფრთხილა.

ორივენი სამართალში მისცეს და დასაჯეს კიდეც. ჩიკვაშვილი დასაჯა იმ საგნებით სპეკულაციისათვის, რაც ტანზე შემოკრული აღმოჩნდა, ხოლო ბაკურაძეს 24 წყვილი წინდის გაყიდვის ცდისათვის. ბაკურაძეს, რომელიც სტუდენტი იყო და წარსული არაფრით არ ჰქონდა შებღალული, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

ბათუმის (საკ. კორ.). პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ამას წინათ განიხილა საკითხი, თუ რა ყურადღება ეექცევა პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტების მიერ გამოთქმულ წინადადებებსა და შენიშვნებს.

ბიუროზე აღინიშნა, რომ ქალაქის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში, მაგალითად, მანქანათსამშენებლო ქარხანაში, თამბაქოსა და სამკერვალო ფაბრიკებში, პრაქტიკულად ხორციელდება კომუნისტთა განაწესი. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან კრებებზე მიღებულ დადგენილებებსა და კომუნისტთა წინადადებებს. საკომდიტრო ფაბრიკაში ბევრ კომუნისტს პარტიული დავალება არა აქვს, კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა თავისი საქმიანობა ვერ გარდაქმნა, სუსტად მუშაობს ამხანაგური სასამართლო.

ამ საკითხებზე კი საანგარიშო კრებამ მუთითა ახლადარჩეულ პარტიულ ბიუროს.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით.

ჩვენი ქვეყნის დიად მშენებლობებზე

საუკეთესო პარკები

ჩვენი ქვეყნის 700 პარკი მონაწილეობდა საზოგადოებრივ დათვალიერებაში, რომელიც 1963 წელს მოაწყეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და გაზეთ „იზვესტიამ“ რუდაქციამ. შეჯამდა ამ კონკურსის შედეგები.

30 პარკმა საუკეთესო პარკის წოდება დაიმსახურა. მათ შორისაა გორკის სახელობის ცენტრალური პარკი (მოსკოვი), კიროვის სახელობის ცენტრალური პარკი (ლენინგრადი), მაიაკოვსკის სახელობის ცენტრალური პარკი (სვერდლოვსკი), ტაგანროგის გორკის სახელობის პარკი, გორკის სახელობის ცენტრალური პარკი (ხარკოვი), შევჩენკოს სახელობის ცენტრალური პარკი (ოდესა), გომელის პარკი, ტელმანის სახელობის პარკი (ტამენენტი) და სხვა. (საკდესი).

კვიპროსის კანონიერი უფლებების დაცვისათვის

ჯეკ რუბის ღამის კლუბის საიდუმლოებანი

პოლონეთის მემორანდუმი

ვარშავა, 5 მარტი. (საკდესი). პოლონეთის მთავრობამ წინადადება წამოაყენა გაიყინოს ატომური და თერმობირთვული შეიარაღება პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიებზე. ცენტრალურ ევროპაში ატომური და თერმობირთვული შეიარაღების გაყინვის შესახებ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმში, რომელიც პოლონეთის პრესის საგენტომ გადმოსცა, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გაყინვის ობიექტი უნდა იყოს ყველა სახეობის ატომური და თერმობირთვული მუხტი, მათი გამოყენებისა და ადგილზე მიტანის წესის მიუხედავად. მხარეები, რომლებსაც შეიარაღებული ძალები ჰყავთ გაყინვის რაიონში, ვალდებულებას იკისრებენ არ აწარმოონ, არ შემოიტანონ, არ გადასცენ სხვა მხარეებს და არ მიიღონ აღნიშნული იარაღი ამ რაიონში.

იმ ვალდებულების შესრულებისადმი კონტროლი, რომ არ აწარმოებენ აღნიშნულ ატომურ და თერმობირთვულ იარაღს, განხორციელდებოდა საწარმოებში, რომლებსაც იყენებენ ან შეიძლება გამოიყენონ ზემოაღნიშნული იარაღის წარმოებისათვის, ხოლო სხვა ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლი განხორციელდებოდა რკინიგზის, გზატკეცილისა და სამდინარო გზების სასაზღვრო კვანძებში, აგრეთვე საზღვაო ნავსადგურებსა და აეროპორტებში.

კონტროლს განახორციელებდნენ შერეული კომისიები, რომლებიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შეიქმნებოდა.

ვილსონის გამოსვლა

ლონდონი, 5 მარტი. (საკდესი). ლეიბორისტული პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ატომური იარაღის გავრცელების თავიდან აცილებას, განაცხადა გუშინ პარტიის ლიდერმა ჰაროლდ ვილსონმა პრეს-კონფერენციაზე ვაშინგტონიდან დაბრუნების შემდეგ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ განსაკუთრებით საშიშია დასავლეთ გერმანიისათვის ატომური იარაღის მიცემა. ვილსონმა თქვა აგრეთვე, რომ ვაშინგტონში ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის საკითხზე საუბრის დროს „სავსებით ცხადყვავი ჩვენი ოპოზიცია ამ გეგმების მიმართო".

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 4 მარტი. (საკდესი). დღეს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო სპილოს ძვლის ნაპირის, ბოლივიის, ბრაზილიის, მაროკოსა და ნორვეგიის რეზოლუციის ერთობლივი პროექტი.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელის ოხოვნით ცალკე უყარეს კენჭი რეზოლუციის მე-4 პუნქტს, რომელიც ადგენს კვიპროსში გასაგზავნი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების" შემადგენლობის, რიცხვისა და სარდლობის სტრუქტურის საკითხთა გადაკრის წესს. ეს პუნქტი მიიღეს 8 ხმით. სამმა დელეგაციამ — სსრ კავშირმა, საფრანგეთმა, ჩეხოსლოვაკიამ თავი შეიკავა.

კენჭისყრის წინ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ნ. ტ. ფედორენკო, რომელმაც განაცხადა: საბჭოთა კავშირი ითვალისწინებს იმას, რომ შემოტანილი რეზოლუციის პროექტი, თუმცა ვერ აკმაყოფილებს ყველა საჭირო მოთხოვნას, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება ასეთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, მაინც მიზნად ისახავს იმას, რომ წინააღუდგეს აგრესიას კვიპროსის რესპუბლიკის მიმართ და დაიცვას კვიპროსის კანონიერი უფლებები და ინტერესები.

ამავე დროს, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ პროექტის იმ დებულებებს — მხედველობაში გვაქვს უწინარეს ყოვლისა პუნქტი 4, — რომლებიც შეეხება „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების" შემადგენლობის, რიცხვისა და სარდლობის სტრუქტურის საკითხთა გადაკრის წესს. თუნდაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების შექმნა კვიპროსში უნდა მოხდეს კვიპროსის მთავრობის თანხმობით, ხოლო მათი შემადგენლობა და ოდენობა განისაზღვროს კვიპროსის მთავრობასთან და გარანტი სახელმწიფოების (ინგლისის, საბერძნეთისა და თურქეთის) მთავრობებთან კონსულტაციით. არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ამგვარი პროცედურა ფაქტიურად გვერდს უვლის უშიშროების საბჭოს. საბჭოთა დელეგაციას განზრახული აქვს თავი შეიკავოს ამ პუნქტის კენჭისყრაში.

საბჭოთა მთავრობა რეზოლუციის პროექტის გამო თავისი საბოლოო პოზიციის განსაზღვრისას ითვალისწინებს უწინარეს ყოვლისა კვიპროსის მთავრობის პოზიციას, რომელიც ყველაზე დაინტერესებული მხარეა ამ პროექტის ჭიმართ.

ჩვენ მხედველობაში ვიღებთ იმ ფაქტს, აღნიშნა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, რომ კვიპროსის მთავრობამ ეს რეზოლუცია სასარგებლოდ მიაჩნია მისი ნაკლოვანებების მიუხედავადაც კი. ჩვენ ვთვალისწინებთ აგრეთვე იმას, რომ ეს რეზოლუცია გულისხმობს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების" გაგზავნას კვიპროსში სამი თვით, ესე იგი მტკიცედ განსაზღვრული ვადით, და არავითარ ფინანსურ ვალდებულებას არ აკისრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს, რომელთა კონტინგენტები არ მონაწილეობენ ამ ჯარებში.

საბჭოთა მთავრობა უფლებას იტოვებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კვიპროსში გაგზავნილი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები" კვიპროსის რესპუბლიკის უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების ინტერესებისათვის კი არ გამოიყენენს, არამედ რაღაც სხვა ინტერესებისათვის, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ ამოცანებს, მოითხოვოს უშიშროების საბჭოს მოწვევა, რათა 3 თვის ვადის გასვლამდეც კი გადაისინჯოს გადაწყვეტილება „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების" კვიპროსში გაგზავნის შესახებ.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ. ტანმა. მან განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალები კვიპროსში იგზავნება სამი თვით და რომ ეს ვადა შეიძლება განგრძობილ იქნეს მხოლოდ უშიშროების საბჭოს ახალი გადაწყვეტილებით. ღონისძიებანი, რომლებსაც საბჭო იღებს ამ ჯარების გასაგზავნად, თქვა უ. ტანმა, „უნდა ეწყარებოდეს კვიპროსის მთავრობის თანხმობას".

ახალი ცხოვრების გზაზე

კაირო, 5 მარტი. (საკდესი). „მიუხედავად დაბრკოლებებისა, რომლებსაც იმპერიალიზმი გვიქმნის, რათა ხელი შეუშალოს ჩვენს სოციალისტურ რევოლუციურ შეტევას, უკანასკნელ ორ წელიწადში შევძელით ბევრი შესანიშნავი შედეგისათვის მიგვაღწია", — განაცხადა ალეპირის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბენ ბელამ ქალაქ მარნიაში. ალეპირის მთავრობამ, აღნიშნა პრეზიდენტმა, სახელმწიფო ბიუჯეტის 25 პროცენტი გამოჰყო განათლებისათვის. სოციალიზმის აშენების მეოთხე წლის დამლევისათვის, თქვა შემდეგ ბენ ბელამ, „უზრუნველყოფილი იქნება თითოეული ალეპირელი მოქალაქის ღირსეული ცხოვრება".

დამღუპველი პოლიტიკა

ნიუ-იორკი, 4 მარტი. (საკდესი). შეერთებული შტატები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში არასწორ და დამღუპველ პოლიტიკას ახორციელებენ, წერს გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი და მშვიდობისათვის მებრძოლი ბერტრან რასელი წერილში „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" რედაქტორისადმი.

დიქტატორული რეჟიმები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან სამხრეთ ვიეტნამში, აცხადებს რასელი, მკაცრი და ტირანულია. იმი რომ აწარმოონ იქ, შეერთებულმა შტატებმა სტრატეგიულ სოფლებში შერეკეს 7,8 მილიონი კაცი, ესე იგი მთელი მოსახლეობის დაახლოებით 65 პროცენტი. ინტერნირებულთა ეს ბანაკები გარს შემორტყმულია ხლართებით, თხრილებით, ეკლიანი მავთულთა და პოლიციელთა ძაღლებით. ამერიკის ინტერვენციას არავინ გაამართლებს, იგი გაძლიერებს სიძულვილს შეერთებული შტატებისადმი მთელ აზიასა და მთელ მსოფლიოში და კოლონიალურ ზიანს მიაყენებს კაცობრიობის უშიშროებას, დაასკვნის ბერტრან რასელი.

იზრდება ინგლისის სამხედრო ხარჯები

ლონდონი, 4 მარტი. (საკდესი). თემთა პალატამ მოიწონა სამხედრო-საზღვაო ფლოტის 1964-65 საფინანსო წლის ხარჯთაღრიცხვა 496 მილიონი სტერლინგის როდენობით, რაც 55 მილიონით მეტია, ვიდრე წინა საფინანსო წელს.

საზღვაო მინისტრის მოადგილემ ჰეიმ, რომელმაც წარადგინა ეს ხარჯთაღრიცხვა, განაცხადა, რომ იქ აღნიშნულია მხოლოდ ოთხი წყალქვეშა ნავი „პოლარისის" რაკეტინი იმ ხუთი წყალქვეშა ნავიდან, რომელთა აგებასაც ინგლისი აპირებს და რომელშიც 38 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდება. მან დასძინა, რომ მეხუთე წყალქვეშა ნავისათვის საჭირო იქნება დამატებითი სახსრები.



დე გოლი: — ამ თორმეტ თვეში საფრანგეთში აღმავლობა გრძელდებოდა...

კარიკატურა ფრანგულ ყოველკვირეულ „ფრანს ნუველიდან".

მემამულეები იარაღდებიან

ჰავანა, 4 მარტი. (საკდესი). როგორც პრესსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, ბრაზილიის მინას-ჟერაისის შტატში საჩქაროდ იარაღდებიან მემამულეები. ისინი ყიდულობენ იარაღს, მათ შორის ტყვიამფრქვევებს. მემამულეთა საუბრებში უკვე მნიშვნელოვანი რაოდენობით არის დაგროვილი იარაღი. მემამულეები ემზადებიან, რომ ხელი შეუშალონ უმიწო გლეხების შეჭრას მათ სამფლობელოებში.

გოიასის შტატის აგრარული რეფორმის საკითხთა სამმართველო აცხადებს, რომ შესაძლებელია შეიარაღებული შეტაკება ლატიფუნდისტებსა და გლეხებს შორის.

ვერ შეთანხმდნენ

ბანგკოკი, 4 მარტი, (საკდესი). ინდონეზიის, ფილიპინისა და მალაიზიის ფედერაციის წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ ბანგკოკის კონფერენციაში, ვერ შეთანხმდნენ კრიზისის მოწესრიგების გამო, რომელიც წარმოიშვა მალაიზიის ფედერაციის შექმნის შემდეგ.

ა. ნოვოტნის გამოსვლა

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელმაც განიხილა ეროვნული კრებისა და რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა არჩევნებისათვის მზადების საკითხები.

ა. ნოვოტნიმ კმაყოფილება გამოთქვა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია და მთავრობა კვლავაც განაგრძობენ ძმურ მეგობრობასა და ინტერნაციონალურ კავშირს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. მან ჩამოთვალა წინასაარჩევნო პროგრამა საგარეო პოლიტიკის დარგში და განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის შესაბამისად მხარს დაუჭერს ყოველგვარ ღონისძიებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, და ესწრაფვის ურთიერთგაგების მიღწევას ხალხთა შორის.

მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლაში, განაცხადა ანტონინ ნოვოტნიმ, სოციალისტური ჩეხოსლოვაკია ყოველთვის საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებისა და მშვიდობისა და პროგრესის მთელი ძალების მხარეზეა, რომლებიც მტკიცე ინტერნაციონალური ერთობით ცდილობენ დაამყარონ მშვიდობიანი ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიუძღვნა საშინაო პოლიტიკის საკითხებს. მან ჩამოაყალიბა მთავარი ამოცანები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების დარგში.

მოლაპარაკება შეწყდა

განგკოკი, 4 მარტი. (საკდესი). დღეს ინდონეზიამ, მალაიზიამ და ფილიპინმა შეწყვიტეს სამმხრივი მოლაპარაკება, რომელიც აქ მიმდინარეობდა ტაილანდის შუამავლობით. მოლაპარაკების მიზანი იყო მალაიზიისა და ინდონეზიის ურთიერთობის მშვიდობიანი მოწესრიგება.

მოლაპარაკების შეწყვეტის გადაწყვეტილება მოჰყვა ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრის სუბანდრიოს, ფილიპინის საგარეო საქმეთა მინისტრის სალვადორ ლოპესისა და მალაიზიის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ადბულ რეზაკის მეორე შეხვედრას. როგორც ფილიპინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოპესმა განაცხადა, რომელიც მოლაპარაკების მონაწილეთა სახელით გამოვიდა, „მოლაპარაკება გადაიდო. კარი ღია რჩება".

უიმედო აქცია

ნიუ-იორკი, 5 მარტი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტის გადამდგარი მოხელე ედშუნდ კლაბ წერილში გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმისადმი" გაფრთხილებას იძლევა იმ გეგმების განხორციელების წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაიტანონ „ბინძური ომი", რომელსაც ისინი ახლა სამხრეთ ვიეტნამში აწარმოებენ.

თუ შეერთებული შტატები ასეთ აქციას მიმართავენ, წერს წერილის ავტორი, ვერაფერი ვერ იხსნის მათ „კატასტროფული პოლიტიკური შედეგებისაგან".

ვაგრძელებთ მოთხრობას მიოლრმი დვალაძეზე

გმირის ნაკვალევზე

მკითხველს ვთავაზობთ დვალაძის სურათს

ამოუხსნელ ბილინგვას ჰგავდა გიორგი დვალაძის ცხოვრება... დრომ გაშიფრა მისი ბიოგრაფია და თვალწინ გადაგვიშალა ჩვენი საუკუნის 40-იანი წლების მამაცი ადამიანის სულიერი სამყარო, მისი ბრძოლა და ცხოვრება, ტკივილი და სიხარული.

საქართველოს გმირად დაუბრუნდა მამაცი შვილი გიორგი დვალაძე, ლიტვის მიწაზე ფაშისტებთან ბრძოლაში გმირულად დაცემული ვაჟკაცი, პარტიზანული რაზმის „სამშობლოსათვის" მეთაური.

გაზეთმა „კომუნისტმა", აგრეთვე ლიტვის გაზეთებმა „ტიესამ" და „ხოვეტსკაია ლიტვამ" სპეციალური გვერდები დაუთმეს გ. დვალაძისა და მისი რაზმის გმირობას.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა 10.000 კილომეტრი გაიარა გიორგი დვალაძის ნაკვალევზე. ლიტვის „რესპუბლიკური გაზეთის „ტიესას" სპეციალურმა კორესპონდენტებმა გადაქექეს მრავალი არქივის მასალები, ბევრი საინტერესო მასალა იქნა ნაპოვნი, მაგრამ გმირის სურათს ვერ მიაგნეს. გაზეთი „კომუნისტი", აგრეთვე „კომუნისტის" თხოვნით გაზეთები „ტიესა" (ვილნიუსი), „კრასნოე ზნამია" (ტომსკი) იძიებდნენ გმირის სურათს. გუშინ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში მოვიდა ჩვენი გაზეთის მკითხველი, გიორგი დვალაძის ნათესავი სოსო დვალაძე და მოიტანა ლიტვაში პარტიზანთა ლეგენდარული მეთაურის გიორგი დვალაძის სურათი, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ.

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ გ. დვალაძე ერთხანს ქ. ტომსკში სწავლობდა. სურათი გადაღებულია ომამდე, ტომსკის საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. ქ. ტომსკიდან ეს პორტრეტი სოსო დვალაძეს გამოუგზავნა გმირის შვილმა შ. დვალაძემ. რომელიც ამჟამადაც ცხოვრობს ციმბირში, მუშაობს მეშახტედ.

შეხედეთ ამ სურათს. როგორი არწივული გამოხედვა, როგორი შემართება, ენერგია და ნებისყოფაა აღბეჭდილი ლეგენდარული პარტიზანის სახეზე. ასეთი ადამიანები ქმნიდნენ დიდი სამამულო ომის ეპოპეას.

ვილნიუსიდან ამას წინათ სასიხარულო ცნობები მივიღეთ. ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელებით დაჯილდოვა გიორგი დვალაძის პარტიზანული რაზმის „სამშობლოსათვის" ცოცხლად გადარჩენილი მებრძოლები მაციუნასელი კოლმეურნე ქალი ჭსენია ალექსეევა, კედანიაელი მუშა გაბრიელ კოლესნიკოვი, მებიტონე ქ. კედანიაიდან ვლადისლავას მიხაილოვსკი, კაუნასელი მუშა ლეონოლდას მონტვილა, კაუნასელი დიასახლისი ონუ პოვილაიტენე, ანიოგალელი მარია რაჩკუვენე, რასეინიაელი სიმონას რიშსი, კაუნასელი მუშა ქალი მარია რუკუიუენე.

ვილნიუსში გამოსაცემად მომზადდა ბროშურა გიორგი დვალაძის პარტიზანული რაზმის შესახებ. ლიტვის საზოგადოება აპირებს გიორგი დვალაძის ნეშტი გადმოასვენოს ვილნიუსის ცენტრალურ სასაფლაოზე ანიოგალის ტყიდან, სადაც ფაშისტებმა ტყვიამფრქვევით დაცხრილეს გმირი 1943 წლის 1 ივლისს.

დიდი წარმატებანი

ბუქარესტი. რუმინეთის სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებში უკანასკნელი სამზადისი წარმოებს საგაზაფხულო თესვისათვის. წელს ეს მეურნეობანი დათესენ მილიონ ჰექტარზე მეტ ხორბალსა და სიმინდს — 200 ათასი ჰექტარით მეტს, ვიდრე შარშან. 500 ათას ჰექტარზე დაითესება საკვები და ტექნიკური კულტურები. ამ მსხვილმა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა, რომლებსაც რუმინეთის მთელი სახნავი ფართობის 15 პროცენტზე მეტი უკავიათ, მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს. მათი მთლიანი პროდუქცია შარშან 560 პროცენტით გაიზარდა 1956 წელთან შედარებით. სახელმწიფო სასოფლო მეურნეობათა წილმა ხორბლისა და ჭვავის საერთო სახელმწიფო ფონდში დაახლოებით 31 პროცენტი შეადგინა, სიმინდის სახელმწიფო ფონდში — დაახლოებით 50 პროცენტი, რძისა — 47 პროცენტზე მეტი. სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებს აქვთ 18 ათასამდე ტრაქტორი, 10.500 კომბაინი, ბევრი სხვა მანქანა.

გავშვი გადარჩა

ბერლინი. საბჭოთა ექიმებმა სიკვდილს გადაარჩინეს რვა წლის გერმანელი ბავშვი იოაკიმ ბერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). გასული წლის დეკემბერში ბავშვი, ტრანსპორტზე მომხდარი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა და ძმიმედ დაშავდა. საბჭოთა სამხედრო ჰოსპიტალში მას ოპერაცია გაუკეთეს. საბჭოთა ექიმები დღე და ღამე იბრძოდნენ ბავშვის სიცოცხლისათვის. ახლა იგი სწრაფად ჯანმრთელდება.

თანამშრომლობა გეოლოგიის დარგში

ულან-ბატორი. აქ დამთავრდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს გეოლოგიის მუდმივი კომისიის მეორე სხდომა. კომისიის სხდომაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციებმა. განხილული იყო კომისიის ამოცანები იმის შესახებ, რომ შესრულდეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი გეოლოგიის საკითხებზე. მომზადებულია წინადადებანი გეოლოგიური კვლევის გაძლიერების შესახებ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე. განხილულია ზოგიერთი სხვა საკითხი. მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი. კომისიის მუშაობა მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

ეროვნული საბჭოს პლენუმზე

სოფია. სოფიაში მიმდინარეობს ბულგარეთის სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს პლენუმი, მიძღვნილი ფრონტის კომიტეტებისა და სახალხო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამშრომლობის საკითხებისადმი. მოხსენება გააკეთა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ალადენ სტოიანოვმა. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ენჩო სტაიკოვი, მინისტრთა საბჭოს წევრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოკლე ამბები

△ **წელს** რუმინეთის ქიმიური მრეწველობა სოფლის მეურნეობას მიაწვდის 1.100 ათას ტონაზე მეტ აზოტიან და ფოსფორიან სასუქს. ამჟამად ხუთ დღეში რუმინეთში იწარმოება იმდენი მინერალური სასუქი, რამდენიც იწარმოებოდა მთელ 1938 წელს.

△ **იანვარსა** და თებერვალში უნგრელმა მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით ამოიღეს 100 ათასი ტონა ქვანახშირი. შარშან რესპუბლიკაში ამოღებულია 30 მილიონი ტონა ქვანახშირი, ხოლო წელს დაგეგმილია 31,2 მილიონი ტონის ამოღება.

△ **ულან-ბატორში** გაიხსნა საბავშვო კინოთეატრი, რომელიც პირველია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

(საკდესი).

სოციალისტური ქვეყნებში

ადვოკატ ლეინის ჩვენება უორენის კომისიაში

უორენმა უარყო ლეინის თხოვნა, რომ კომისიაში ოსვალდის ადვოკატის როლი შეესრულებინა და უფლება ჰქონდა ჯვარედინად დაეკითხა მოწმეები, გამოეყვანა თავისი საკუთარი მოწმეები და გამოეყენებინა კომისიის დოკუმენტები.

უორენმა ამერიკის იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტს დაავალა დაიცვას ოსვალდის ინტერესები კომისიის სხდომების დროს.

მოწმის ჩვენების მიცემის დროს ლეინი იცავდა ვერსიას, რომელიც ეწინააღმდეგება მთავრობის თრგანიზაციებისა და ტეხასის ხელისუფალთა ვერსიას, რომლის თანახმად ოსვალდი მარტო მოქმედებდა, როცა კენედის კლავდა. მან თქვა, რომ იგი ბევრ მოწმეს ესაუბრა, რომლებიც ხალხში იყვნენ იმ დღეს დალასში, და რამდენიმე მოწმემ განაცხადა, რომ მათი აზრით, სროლა მოხდა გორაკიდან, რომელიც გზას დაჰყურებს, და არა ტეხასის სასკოლო სახელმძღვანელოთა საცავის შენობიდან, რომელიც იმ ქუჩას გადაჰყურებს, რომლითაც პრეზიდენტის კორტეჟი მიდიოდა.

ლეინმა აგრეთვე განაცხადა, რომ ოსვალდის ფოტოსურათები, რომლებზეც იგი მარცხენა ხელში შაშხანითა და მარჯვენა მხარეს ჩამოკიდებული პისტოლეტით არის გამოსახული, „აშკარად ყალბია", და ეს ყალბი სურათი ჟურნალებში და გაზეთებში გამოქვეყნებამდე დაამზადეს.

მან განაცხადა, რომ ზოგიერთ ფოტოსურათში ტელესკოპიური სამიზნანი შაშხანაა გამოსახული, ზოგიერთზე კი სამიზნე არ არის. როგორც უნდა იყოს, თქვა მან, ეს მკვლელის იარაღი არ არის, როგორც ამას ამტკიცებენენ, რადგან შაშხანის კონდახი ძლიერ არის მოღუნული იტალიური კარაბინისაგან განსხვავებით, რომლითაც, როგორც დალასის პოლიცია ამტკიცებს, სახიკვდილო ჭრილობები მიაყენეს პრეზიდენტ კენედის.

ვინ მოჰკლა პრეზიდენტი კენედი?

ნიუ-იორკი, 5 მარტი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი უილიამ იტონი ვაშინგტონიდან იუწყება, გუშინ უორენის კომისიის წინაშე, რომელიც პრეზიდენტ კენედის მკვლელობის გარემოებებს იძიებს, გამოვიდა ნიუ-იორკელი ადვოკატი მარკ ლეინი. მან კომისიას აცნობა, რომ პრეზიდენტ კენედის მკვლელობამდე 8 დღით ადრე ჯეკ რუბის დალასის ღამის კლუბში თათბირი მოეწყო.

ლეინმა განაცხადა, რომ, როგორც მან შეიტყო, დალასელი პოლიციელი ტიპიტი, რომელიც მოკლულ იქნა, რაცა იგი ოსვალდის დაპატიმრებას ცდილობდა, ერთ-ერთი იმ სამთავანი იყო, რომლებიც ამ თათბირს ესწრებოდნენ.

დანარჩენი ორი, განაცხადა მან, იყვნენ ნიუ-იორკელი ბერნარდ ვეისმანი, რომელმაც დალასის გაზეთში გამოაქვეყნა კენედის წინააღმდეგ მიმართული განცხადება იმ დღეს, როცა პრეზიდენტი მოკლეს, და კიდევ ერთი კაცი, რომელიც მან არ დაასახელა.

ლეინმა აღნიშნა, რომ მას ურჩევნია ამ კაცის სახელი უორენის კომისიის დახურულ სხდომაზე გამოაცხადოს.

კომისიის თავმჯდომარემ უორენმა განაცხადა, რომ ლეინს შეუძლია ამის გაკეთება და ღია სხდომიდან დაითხოვა კორესპონდენტები და დამსწრენი, რათა მოწმის ეს ჩვენებანი მოესმინა.

კითხვაზე, თუ რა იყო თათბირის მიზანი, ლეინმა უპასუხა: „ისინი ორ საათზე მეტ ხანს თათბირობდნენ იქ".

უორენმა ლეინს კითხა, აღნიშნულია თუ არა მის ინფორმაციაში, თუ რაზე ლაპარაკობდნენ ეს ადამიანები. ლეინმა თქვა: არაო.

ადვოკატი ბანისტერი

ნიუ-იორკი, 4 მარტი. (საკდესი). ადვოკატ ჯეკ რუბის ადვოკატ ბანისტერს ეგონა, ოსვალდი ბრალეულია, ოსვალდი ბრალეულია, ოსვალდი ბრალეულია, — ასეთ ფრაზას ამბობდა ადვოკატ ბანისტერი, ოსვალდის ბრალეულობის ეჭვი ეტანჯებოდა ადვოკატ ბანისტერს, ოსვალდი ბრალეულია, ოსვალდი ბრალეულია, — ასეთ ფრაზას ამბობდა ადვოკატ ბანისტერი



საბჭოთა სომხეთში

ეთერშია „სომხეთის ახალგაზრდობა“

ერევანი. (საკ.კორ.). „ლაპარაკობს რადიოსადგური „სომხეთის ახალგაზრდობა“. ახალი წლის დამდეგს ეთერში გაისმა ეს სიტყვები, რაც გვაუწყებდა, რომ ერევნის რადიოსთან იშვა რესპუბლიკის კომკავშირელთა ახალი მეგობარი.

რადიოსადგურ „სომხეთის ახალგაზრდობის“ გადაცემები მთლიანად ეძღვნება სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შვიდწლედის დამკვრელურ მშენებლობებზე მომუშავე კომკავშირელებს.

კიბერნეტიკა და ქუჩა

ერევანი. (საკ.კორ.). ელექტრონულ გამომთვლელ მანქანას შეუძლია საუკეთესოდ მოაწყოს ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა. მას შეუძლია აირჩიოს არა მარტო ყველაზე ჭელსაყრელი მარშრუტები, არამედ მოძრაობის რაციონალური გრაფიკიც. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სომხეთის ეკონომისტები და მათემატიკოსები. სატრანსპორტო ამოცანის გადასაწყვეტად სპეციალური პროგრამა შეადგინეს. მისი დახმარებით მანქანამ დაამუშავა მონაცემები ქუჩების, სამრეწველო რაიონებისა და საცხოვრებელი მასივების განლაგების, მოსახლეობის რიცხვისა და მგზავრთა მოსაქმეობის შესახებ და რამდენიმე წუთში გასცა პასუხი ყველა საკითხზე, რომლებიც მეცნიერებს აინტერესებდათ.

სატრანსპორტო ამოცანის გადაწყვეტის ახალი მეთოდი შემოწმებულ იქნა ლენინაკანში — სომხეთის სიდიდით მეორე სამრეწველო და კულტურულ ცენტრში — და დადებითი შედეგი აჩვენა.

საპატიო ჯილდო

ლენინაკანის ცენტრალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა შექმნა საინტერესო ელექტრონული გამზომი ხელსაწყო „დვს-61“. ამას წინათ აქ მიიღეს სასიხარულო ცნობა — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომიტეტის მიერ ხელსაწყოს შემქმნელი კოლექტივი დაჯილდოებულია ერთი ვერცხლისა და ბრინჯაოს ორი მედლით.

მინის ქაღალდი

სევანი (სომხეთის სსრ). (საკ.კორ.). მინის ქაღალდის — ახალი ელექტროსაიზოლაციო მასალის საცდელი პარტია გამოუშვა ადგილობრივმა ქარხანამ „მინაიზოლაციამ“. აქ მოქმედებს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში კონსტრუირებული ორიგინალური დანადგარი, რომელიც ახალ მასალას მინის ბოჭკოსაგან იმუშავებს. დანადგარი ძალიან მარტივია საექსპლოატაციოდ და მაღალი წარმადობით ხასიათდება, ყოველ წუთში სამოთს გრძივ მეტრ მინის ქაღალდს იძლევა. გამოსაყენებლად ფრიად პრაქტიკული იაფ მინაქაღალდს შეუძლია წარმატებით შეცვალოს ყველა სახეობის არსებული ელექტროსაიზოლაციო მასალები.

ელექტრომექანიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სომხეთის ფილიალის კაბელ-საიზოლაციო ტექნიკის განყოფილების ლაბორატორიაში სომხეთის ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის იმ თანამშრომელთა პროექტით, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იაკობ შერმაზანიანი, აგრეთვე მ. მარკოსიანი და გ. კაზანჯიანი, აგებულია ორიგინალური ჰელიოდანადგარი, რომელიც გამოსაცდელ ნიმუშებზე თავს უყრის მზის ინტენსიურ რადიაციას. ამ დანადგარზე დაიწყო ელექტრო-საიზოლაციო ტექნიკაში გამოყენებული ზოგიერთი სახეობის ახალი პოლიმერული მასალების გამოცდა.

სურათზე: ჰელიოდანადგარის ამუშავებას ახორციელებენ ინჟინრები გრიგოლ კაზანჯიანი და დონარა გორგინიანი.

ფოტო ლ. ნედოლიასი. (საკ.კორ.).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები — 6 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გედის ტბა (მე-2-ა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აბონ. მე-3 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — ზღვის შვილები (მე-17 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ნოდარ გაბუნიას (ფორტეპიანო) კონცერტი, **მარჯანიშვილის სახელობის** — აურზაური არაფრის გამო (მე-4 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ანა ფრანკის დღიური (აბონ. გარეშე), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — მეგობრები, **სანატორული განთლების სახლი** — ვაზისუბნელი ძმაკაცები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ცისკარაულების ბუდე (აბონ. № 46, 6 ს.).

კინო — 6 მარტი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, საქართველო (მწვანე დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, გაზფხული — **ცოცხლები და მკვდრები** (I-II სერია), ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კოლმეურნე, ნაკადული — **დედის ამბავი**, სპარტაკი, კოლხიდა, საქართველო (წითელი დარბაზი), ი. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი), კოსმოსი — **ქალაქი — ერთი ჭეშა**, თბილისი — **დარიკო**, კომკავშირელი — **კანონი კანონია**, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — **სიყვარული და ოცნება**, ოფიცერთა სახლი — **განკიცხულნი** (I-II სერია), ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **12 განრისხებული მამაკაცი**, გორკის სახელობის კულტურის სახლი — **აღმოსავლეთის ქალები**, თანამგზავრი — **ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების ჩვენება აფრიკის შესახებ**, კიროვის სახელობის პარკი — **სახლი მწვანეზე**.

რადიო — 7 მარტი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — კამერული მუსიკის კონცერტი ხელოვნების ისტატთა მონაწილეობით, 11.15 — ნაწყვეტები ა. კერესელიძის ოპერა „ბერუჩადან“, 12.15 — გადაცემა ციკლოდან — „ადამიანები, რომელთა მაგალითი მისაბაძია“, 12.25 — მოცარტის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 13.40 — ბელორუსიის სახელმწიფო აკადემიური კაპელის კონცერტი, 17.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა ანდერსენის ზღაპრისა „დედა“, 18.10 — მუსიკალური რადიოფიშა, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 19.45 — ქართული ხალხური სატრფიალო სიმღერები, 20.15 — „ძალისპირული“, 20.30 — „მხიარულ ტალღაზე“, 21.45 — გადაცემა ციკლოდან — „ლენინურ პრემიაზე წარდგენილი ნაწარმოებები და შემსრულებლები“, — ირინე არხიპოვა, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

ტელევიზია — 7 მარტი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის — საბავშვო ოპერის „ტყის მეგობრის“ ტრანსლაცია ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან, 18.40 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟი ნიმხატვრული ფილმი „ფილიპკო“, 19.00 — განცხადებები, 19.05 — გადაცემა ციკლიდან — „რატომ ვამბობთ ასე“, 19.20 — დოკუმენტური ფილმი „დაე მუდამ იყოს მზე“ (ფილმი გახმოვანებულია ქართულ ენაზე საქართველოს ტელევიზიის მიერ), 20.10 — მხატვრული ფილმი „გზა არენისაკენ“, 21.30 — ახალი ამბები, 21.45 — საესტრადო კონცერტი, 22.15 — „ცისფერ ეკრანზე“.



ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტების

ტ. ტუგარინოვას და ლ. ნიკიტინას (სოპრანო) (მეცო-სოპრანო)

გასტროლები

ოთხშაბათს, 11 მარტს

ჯ. ვერდი

ტრუბადური

აზუჩენას პარტიას შეასრულებს

ლ. ნიკიტინა

პარასკევს, 13 მარტს

კვირას, 15 მარტს

ჯ. ვერდი

აიდა

აიდას პარტიას შეასრულებს

ტ. ტუგარინოვა

ამნერისის პარტიას შეასრულებს

ლ. ნიკიტინა

დასაწყისი საღამოს 7 ს. 30 წ.

ბილეთები იყიდება.

თეატრი

„ზვავი“ ხუნძურ ენაზე

უკვე მეოთხე წელია თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში დაფესტნელი ახალგაზრდები რუსულ და თავიანთ მშობლიურ (ხუნძურ) ენაზე ეუფლებიან თეატრალურ ხელოვნებას. ისინი მეოთხე წელია მეცადინეობენ ინსტიტუტში და, უნდა ითქვას, მთელი სერიოზულობით და გულმოდგინებით ეკიდებიან სცენური ოსტატობის დაუფლების საქმეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაღესტნელი სტუდენტები ბეჯითად სწავლობენ არა მარტო სპეციალურ, არამედ საზოგადოებრივ დისციპლინებსაც.

მათი სიბეჯითე, უნარიანობა და სწრაფვა დაოსტატებისაკენ ნათლად გამოვლინდა საგიპლომო სპექტაკლში. დასადგმელად მიხ. მრეველიშვილის „ზვავი“ იქნა არჩეული.

სპექტაკლის მთავარი გმირის — თინიბეგი უთურგაულის როლს ასრულებდა არიფულა მახავეი. თინიბეგი ეგოისტი და ვერაგი ადამიანია, რომელსაც სძულს ყოველივე ახალი, ნათელი და პროგრესული. სტუდენტ მსახიობს სწორად აქვს გაგებული ამ მგელკაცის (კოლმეურნეობის ფერის გამგის) ბუნება და შინაგანი ლოგიკით, დამაჯერებლობით, ზომიერებით გვიხატავს ამ რთულ სახეს.

თინიბეგის მეუღლე — საბედო ერთი საუკეთესო სახეთაგანია ამ სპექტაკლში. ზეინაბ ლაბაზანოვა გააზრებულად, თავდაჭერილი, ზომიერი ემოციურობით გადმოგვცემს თინიბეგის ხელში დატანჯულ-დამონებული მთიელი ქალის სახეს. უთქმელი ტანჯვა და ღრმა მწუხარება გამოსჭვივის საბედოს თვალებში, მისი დაღარული სახის ყოველ ნაკვთში, ყოველ მოძრაობაში. განსაკუთრებით შთამბეჭდავია იგი ფინალურ კვეთილი და მხიარული სოფელი ახალგაზრდა. რომელიც გაჭირვების თავისებური ტალკვესი და შეყვარებულთა გულშემატკივარი-მრჩეველია.

მოწონების ღირსნი არიან სპექტაკლის ეპიზოდური როლების შემსრულებლები გ. ისმაილოვი, მ. სალმანოვი, ა. ბაიფუტდინოვი, ბ. ამინოვა და პ. ზაურბეკოვა.

სპექტაკლში ნათლად ჩანს რეჟისორ-პედაგოგის ა. მიქელაძის სტუდენტ მსახიობებთან მუშაობის სწორი მეთოდი მხატვრულ სახეთა ღრმა ფსიქოლოგიური გაგაზრება, თვითეული სტუდენტში სცენური მონაცემების მაქსიმალურად გამომჟღავნების უნარი.

მხატვარ ადილ ჯემილიშვილს სცენის სიმცირის შესაბამისად ეკონომიურად, მაგრამ შთამბეჭდავად აქვს გადაწყვეტილი სპექტაკლის დეკორაციული მხარე.

ასე ჰარმონიულად იქნა წარმოდგენილი ეს სადიპლომო ნამუშევარი ამ მატარა, ნიჭიერი ჯგუფისა და მისი პედაგოგ-რეჟისორის მიერ; ასევე ჰარმონიული იყო სპექტაკლის მუსიკალური გაფორმებაც, რომელიც ი. ბოგოხიძეს ეკუთვნის.

ნ. ცხაკაია.

• • •

სურათებზე: სპექტაკლის მონაწილენი როლებში; მარცხნივ, ზემოდან ქვემოთ — ა. მახავეი (თინიბეგი), ხ. აბდულგაპუროვი (ამირანი), რ. გაჯილოვი (ონისე თურმანაული); მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ — ზ. ლაბაზანოვა (საბედო), ზ. ალიევა (ლელა).

თეატრალური ინსტიტუტის დაღესტნელ სტუდენტთა სპექტაკლი

□

სცენაში, როდესაც უკვე გვევლინება როგორც ბრალმდებელი დედა, ადამიანი და მოკალაქე.

სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი გმირის — პაპა ონისე თურმანაულის როლის შემსრულებელი რასულ გაჯიევი კარგად გრძნობს ამ უბრალო ადამიანის კეთილშობილ ბუნებას, მის გულწრფელ პირდაპირობას, უსაზღვრო სიყვარულს შვილიშვილ ლელასადმი, და დასამახსოვრებელ სცენურ სახეს ქმნის.

ლელა თურმანაული — პაპა ონისეს შვილიშვილი მტკიცე ბუნების, ამაყი მთიელი ქალიშვილია. მისთვის დამახასიათებელია გონიერება, ორგანიზებულობა, გაბედულობა, კეთილსინდისიერება. კოლმეურნეობის გასაჭირს — ცხვრის მოსალოდნელ დაღუპვას, რაც გამოწვეულია გეგას დაუდევრობით, ლელას გამჭრიახობა შველის. ლელას როლს დაკვირვებულად და შთამაგონებლად ასრულებს ზულმირა ალიევა.

გეგა (თინიბეგის ვაჟი) რთული შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე სახეა. იგი ეძებს თავის ადგილს ცხოვრებაში, მაგრამ ვინაიდან ძალზე თავმოყვარე და თანაც ერთგვარად მოუწესრიგებელია, მარცხი ყველგან თან სდევს, ლელასადმი სიყვარულშიც.

ლელასადმი გეგას ეგოისტურ სიყვარულს ხაბიბ გაჯიევი სწორად გადმოსცემს. კრიტიკულ მომენტში გეგაში იღვიძებს კეთილშობილება. საერთოდ გაჯიევს სავსებით დაუძლევია გეგას რთული, წინააღმდეგობებით სავსე სახე.

სპექტაკლის სიუჟეტურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამირანი, რომელიც დადებითი სახეა, მაგრამ უარყოფით გმირებთან შედარებით ავტორს იგი უფრო მკრთალად ჰყავს დახატული. მიუხედავად ამისა, ხაიბულა აბდულგაპუროვს მისთვის მოძებნილი აქვს საკმაოდ დამაჯერებელი. სცენურად საინტერესო გამომსახველი შტრიხები და სავსებით სრულყოფილ სახეს ქმნის.

კარგია აბუნავას ჰუსეინოვის გოგოტა — თინიბეგის მორჩილი დამჭაშის ცბიერ-მლიქვნელისა და ენაკანია, მაბეზღარა ადამიანის სცენური სახე და ალი გაჯიმაგომედოვის მიერ განხორციელებული იანჭო (სოფლის საბჭოს მდივანი) — ერთ-ერთ ნაკლად მეფეს ტრანსდეცენონის მეკავს. ფუტკრის სიკვდილის შემდეგაც კი ტელერგონი დიდხანს ინარჩუნებს აქტივობას.

ცხოველები ძლიერ ფხიზლად აღიქვამენ ტელერგონებს. ჩვეულებრივი გომბეშოს თავკომბალას კანს ოდნავ რომ შეეხოთ ჩოგანბადით, იგი წყალში მყისვე გამოჭყოფს განგაშს ტელერგონს. ამ სიგნალზე თავკომბალები თავზარდაცემულნი გარბიან. ასევე იქცევა ბევრი თევზიც.

ტელერგონი „ეს ჩემია“ ცხოველის „საკუთრების“ უფლებას ამკვიდრებს. სანადირო უბანი რომ შეინარჩუნონ ან საცხოვრებელი ბინა „დაიჯავშნონ“, ცხოველები მათ სუნთან ნიშნებს ადვენენ. თუ ქრცვინმა ტელერგონი გამოჭყო და პირველმა დაასვა ხეებს თავისი ნიშანი, იგი სავარგული სრულუფლებიანი პატრონი ხდება.

იაკობ კირშენბლატმა ბიოლოგიური ფუნქციების მიხედვით ხუთ ჯგუფად დაჰყო ტელერგონები. რომლებიც გავლენას ახდენენ სქესის ნიშნებზე, სტიმულს აძლევენ გამრავლებას, იზიდავენ სხვა ინდივიდებს, ნიშნავს ადებენ ტერიტორიას, იწვევენ განგაშს.

ასე „ელაპარაკებიან“ გარეშეებს

ცხოველები გარეშეში ან მტერს ხედავენ, ან მსხვერპლს. და ქიმიური საშუალებანი ან თავდაცვის საშუალებებს წარმოადგენენ ან თავდასხმისას. ისინი, ვინც უფრო სუსტია, მოწინააღმდეგის დასაფრთხობ სიგნალებს გამოჭყოფენ. ბევრი ამფიბიის კანის ჯირკვლები ისეთ ნივთიერებებს გამოიმუშავებენ, რომლებსაც გარდა შემაზიზღებლისა შხამიანი თვისებებიცა აქვთ. ტელერგონ-შხამების მოქმედების ძალაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ასეთი ფაქტით: სულ ას ოცი მილიგრამი წონის ერთი აფრიკული ფოთოლჭამია ხოჭოს მატლის შხამს შეუძლია ორასი ბოცვერი მოკლას.

სხვა ფუნქციებს ასრულებს მტაცებლების შხამიანი ტელერგონი. იგი დამბლას სცემს მსხვერპლს. მაგალითად: ზზიკები დამბლას სცემენ მწერებს და მათს სხეულში კვერცხებს დებენ. კვერცხდან გამოსული მატლი დადამბლავებული მწერის ორგანებით იკვებება და მის სხეულში ვითარდება.

ზემოქმედებით რამდენადმე ემსგავსებიან, მაგრამ ამდენად აგრესიული არ არიან ტელერგონები, რომლებსაც პარაზიტები გამომიმუშავებენ. ისინი სულ სხვადასხვანაირად მოქმედებენ მასპინძლის ორგანიზმზე. იაკობ კირშენბლატმა უკანასკნელ ხანს შეისწავლა ეს ჯგუფი. პარაზიტების ტელერგონები საჭეს უცვლიან ნივთიერებათა ცვლას, გავლენას ახდენენ მასპინძლის ორგანიზმის ზრდის პროცესებსა და გამრავლებაზე.

ზოგჯერ ტელერგონები მოქმედებენ ფერმენტების მსგავსად, აჩქარებენ ბიოქიმიურ რეაქციებს და იწვევენ რთულ ნივთიერებათა დაშლას, სხვა შემთხვევებში — აფერხებენ ფერმენტების მოქმედებას, ხელს უშლიან სისხლის შედედებას.

ასეთი სახე აქვს კლასიფიკაციის მეორე ნაწილს, რომელიც შედგება ტელერგონების ოთხი ჯგუფისაგან — ეს არის დამცავი, დამადამბლავებელი, ნარკოზული მოქმედების, პარაზიტისაგან მასპინძლისათვის განკარგულების გადამცემი ტელერგონები.

• • •

ერთი შეხედვით ეს კვლევა ფრიად განყენებული გვეჩვენება, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

— მეცნიერება ტელერგონების შესახებ, — ამბობს იაკობ კირშენბლატი, — გადაგვიშლის ცხოველთა ურთიერთდამოკიდებულების ერთ-ერთ ნაკლებად შესწავლილ სფეროს. იგი დიდ პერსპექტივებს სახავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მიმართებით. ტელერგონები იძლევიან ცხოველთა ორგანიზმზე მიზანდასახული ზემოქმედების ახალ შესაძლებლობებს. ხელოვნურად შექმნილი ტელერგონები შეიძლება მოვიტყუოთ და მოვსპოთ სოფლის მეურნეობის მავნებლები. ტელერგონები გავლენას ახდენენ ცხოველთა ნაყოფიერებაზე. პარაზიტების მასიგნალიზებელი ნივთიერებანი დავავიმბარებიან იმაში, რომ გავარკვიოთ ქიმიური სტიმულატორების როლი ცხოველმოქმედების პროცესებში, მედიკები შეძლებენ უფრო წარმატებით ებრძოლონ ადამიანისათვის მავნე პარაზიტებს. ტელერგონების შესწავლა ახლა მხოლოდ იწყება.

ა. სიმონიანი.

ახალი ამბების საააგენტოს კორესპონდენტი.

მუსიკა

ბაზის საზეიმოების კონკურსზე

ძნელია დავასახელოთ რომელიმე საერთაშორისო კონკურსი, სადაც წარმატებით არ გამოდიოდნენ ქართველი მუსიკოსი - შემსრულებლები.

მიმდინარე წლის მაისში ქ. ლაიპციგში გაიმართება გენიალური გერმანელი კომპოზიტორის ბახის სახელობის II საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მრავალი ქვეყნის მუსიკოსები მიიღებენ მონაწილეობას.

ვინ გაიმგზავრება ამ კონკურსზე საბჭოთა კავშირიდან?

მოსკოვში ჩატარებულ შერჩევით ტურში დიდ წარმატებას მიაღწიე ქართველმა პიანისტმა რუსუდან ხოჯავამ და ორდანისტმა ეთერ მგალობლიშვილმა. მათ გარდა ბახის სახელობის II საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტი პიანისტი ილზა გრაუბინა, 14 წლის ლენინგრადელი მოსწავლე იგორ ლასკო, მოსკოვის გნესინების სახელობის მუსიკალურ - პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი პიანისტი ნედა აზიზიანი და სხვები.

კონკურსი მოიწყობა შემდეგი განხრით: ფორტეპიანო, კლავიესინი, ორღანი და სოლო სიმღერა.

კონკურსის რეპერტუარი ძალიან რთულია და ძირითადად ბახის ნაწარმოებებისაგან შედგება: ბახის 4 პრელუდია, ფუგები, ფრანგული სიუიტა. ტოკატა. იტალიური კონცერტი. ფანტაზია და ფუგა. აგრეთვე შერჩეულია ბეთჰოვენის მეორე სონატა და თანამედროვე გერმანელი კომპოზიტორების რამდენიმე ნაწარმოები.

ბახის სახელობის I საერთაშორისო კონკურსი გაიმართა 1950 წელს, სადაც ბრწყინვალე წარმატება მოიპოვეს საბჭოთა მუსიკოსებმა ტატიანა ნიკოლაევამ და იგორ ბეზროდნიმ.

ახლახან თბილისში გამართულმა რუსუდან ხოჯავას კონცერტებმა მუსიკალური საზოგადოებრიობის მოწონება დაიმსახურა.

ამჟამად კი ქართველი პიანისტი მონდომებით ემზადება ამ მეტად პასუხსაგები კონკურსისათვის. მალე რუსუდან ხოჯავა კონცერტებს გამართავს რიგაში, რაც გენერალური რეპეტიცია იქნება დიდი კონკურსის წინ.

ორღანისტი ეთერ მგალობლიშვილი ერთ-ერთ ნიჭიერ შემსრულებლად ითვლება საბჭოთა კავშირში. ამას წინათ მოსკოვის პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა მის დაკვრას.

მალე ჩვენი დედაქალაქის მუსიკის მოყვარულთა საშუალება იქნებათ თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოუსმინონ ეთერ მგალობლიშვილის დაკვრას ორღანზე.

ნ. ჯაფარიძე.

ფინიშის სიმაჯაფრე

კომუნისტი

გუშინ მოეწყო მოსკოვის ზონალური ტურნირის გადადებული პარტიების დამთავრება, რამაც სატურნირო ცხრილში გარკვეული სიცხადე შეიტანა. ვ. კორჩნოისა და ა. სუეტინის პარტიაში მდგომარეობა დაახლოებით თანაბარი იყო, ამიტომ მოწინააღმდეგეებმა ბრძოლის განგრძობა საჭიროდ არ ცნეს. ისინი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა დ. ბრონშტეინისა და ე. გელერის პარტია.

ა. სუეტინისა და ბ. სპასკის პარტიაში მოსალოდნელი იყო შეუპოვარი ბრძოლა. იგი გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

12 ტურის შემდეგ დ. ბრონშტეინს 6 ქულა აქვს ათიდან, ბ. სპასკის — 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია თერმომეტიდან, ლ. შტეინს — 5,5 ქულა ათიდან, რ. ხოლმოვს — 5 ქულა ათიდან, ვ. კორჩნოის — 4,5 ქულა ათიდან, ე. გელერს — 4,5 ქულა თერმომეტიდან, ა. სუეტინს — 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია ათიდან.

ვ. ბრუმელის მიწვევა

„ოსმოსური მხტომელი“ ვალერი ბრუმელი მალე გაფრინდება ნიუიორკში. მსოფლიო რეკორდსმენი იქ მიემგზავრება ამერიკის რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო კორპორაციის მიწვევით. იმასთან დაკავშირებით, რომ მას მიენიჭა მსოფლიოს 1963 წლის საუკეთესო სპორტსმენის წოდება. 12 მარტს კორპორაცია ბრუმელის პატივსაცემად ნიუ-იორკის ერთ-ერთ სასტუმროში გამართავს პანკეტს, რომელზეც მიწვეულია აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი სპორტსმენი. პანკეტზე სტუმრებს უჩვენებენ ფილმს ბრუმელის შესახებ. (საკ.).

ჩემპიონატის გახსნა

გუშინ რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნა საქართველოს 1964 წლის პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის. მოეწყო წილისყრა. ორი გამარჯვებული საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

დღეს პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან: ჯ. ბერაძე (წყალტუბო) - ა. ბოკუჩაკა, ს. კირკალიძე (გაგრა) - გ. კალატოზიშვილი, თ. კიკიანი - ი. ლოლუა (ფოთი), ა. ბუსლაევი - ო. ელიოზიშვილი, ს. მეგრელიშვილი - ა. ფირცხალავა, თ. ძუგაევი - ბ. გურგენიძე, გ. მაჭავარიანი - გ. ჭანტერია (ბათუმი), თ. გიორგაძე (ქუთაისი) - ვ. დავითაშვილი.

«სპარტაკი» გულგარეთში

გულგარეთს ეწვია მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივი. პირველი მატჩი „სპარტაკს“ ჰკონდა ქ. კლოვდივში ადგილობრივ საკლუბო გუნდ „ბოტევთან“. მძაფრი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1:1. სპარტაკელთაგან გურეთი ჰუსაინოვმა გაიტანა.

სოფლის ექიმის გმიროგა

ქამკოვი (ჩერკასის ოლქი), 4 მარტი. (საკ.კორ.). ჟაშკოვის რაიონის ბუკსკის სოფლის საავადმყოფოში მოიყვანეს ავადმყოფი ქალი. მას სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა. იმ დროს საავადმყოფოს მთავარი ექიმი ქირურგი ევგენი სტეფანეს-ძე სკობეფფილი თვითონ იყო ავად. სამი დღით ადრე მას გაუკეთეს ოპერაცია.

ევგენი სტეფანეს-ძეს დიდხანს არ უფიქრია, როგორ მოიქცეს. მან შეიკავა ტკივილი, ჩაიცვა ხალათი, ხელთათმანები და გაიკეთა ნიღაბი. ნახევარი საათის შემდეგ ოპერაცია წარმატებით დამთავრდა. ავადმყოფის სიცოცხლე გადარჩა.

ეს სოფლის ექიმის თავადადებული მუშაობის ერთად-ერთი მაგალითი როდია. შარმან მან გაკეთა 300-ზე მეტი რთული ქირურგიული ოპერაცია, რომლებიც კარგად დამთავრდა.

ახალი სკოლა

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). მაოალმთიან სოფელ ფერეთაში ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ტიპური პროექტით აგებული 8-წლიანი სკოლის ახალი შენობა. სკოლას აქვს რვა საკლასო ოთახი, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის კაბინეტები, საზეიმლო და სადილო სასწავლო სახელოსნოები, ბიბლიოთეკა, პიონერთა ოთახი.

ახლა ამ სკოლის მოსწავლეები ერთ ცვლად მეცადინეობენ.

ტურნე დამთავრდა

დელი. (საკ.დელი). საერთაშორისო გროსმაისტერები მარკ ტაიმანოვი და იური ავერბახი დელიში დაბრუნდნენ ინდოეთში ორი კვირის მოგზაურობიდან. აქ ისინი ერთდროული თამაშის უკანასკნელ სეანსში შეხვედნენ ადგილობრივ ჭადრაკის მოყვარულებს. თითოეული საბჭოთა გროსმაისტერი 24 დაფაზე თამაშობდა. ტაიმანოვმა მოიგო 22 პარტია, ავერბახმა — 18. დანარჩენი შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

„ჩვენი მოგზაურობა ინდოეთში საინტერესო და სასარგებლო იყო, — განაცხადეს ტაიმანოვმა და ავერბახმა. დელიში, კალკუტაში, მადრასში, ბომბეიში — ყველგან, სადაც კი ვიყავით, საბჭოთა ჭადრაკო სკოლისადმი ცხოველი ინტერესს მოწმენი გავხდით. ინდოელ მოჭადრაკეთა თამაშის დონე საკმაოდ მაღალია. ინდოეთში მოგზაურობის დროს ყურადღებითა და სტუმართმოყვარეობით გვხვდებოდნენ. ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტმა დოქტორმა ზაქირ ჰუსეინმა მისასალმებელი წერილი გამოგვიგზავნა“.

სპორტული ქრონიკა

□ დასასრულს უახლოვდება მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. ქალთა პირადი ასპარეზობის ფინალში გავიდნენ დმიტრიევა და კეგი. დღეს მეტრეველი შეხვდება პრმასს.

□ გუშინ საბჭოთა კავშირს ეწვია შვეიცარიის მოცეკვურავეთა გუნდი ცნობილი სპორტსმენი ნილსონის მეთაურობით. პირველ საერთაშორისო შეხვედრას სტუმრები გამართავენ 7 და 8 მარტს ივანოვოში.

„დიდი ფეხბურთის დღე“

„ევროპის დიდი ფეხბურთის დღე“ — ასე უწოდეს სპორტულმა მიმოხილველებმა მარტის პირველ ოთხშაბათს, როდესაც კონტინენტის სამ უდიდეს სტადიონზე გაიმართა საინტერესო მეოთხედფინალური მატჩები ევროპის ჩემპიონთა თასზე.

პირველ ნახევარფინალისტს, მადრიდის „რეალს“ შეემატა კიდევ ერთი ნახევარფინალისტი — მილანის „ინტერნაციონალი“, თასის მფლობელი. იტალიელებმა ორჯერ მოუგეს ბელგრადის „პარტიზანს“. მეორე მატჩის ანგარიშია 2:1. კიდევ თითოთითო შეხვედრას გამართავენ „ბორუსია“ (დორტმუნდი)-„დუკლა“ (პრაღა) და „ეინდჰოვენი“ (ამსტერდამი)-„ბენიფიკა“ (ლისაბონი). მეოთხედფინალის პირველ მატჩებში ჰოლანდიელებმა მოუგეს შვეიცარიელებს — 1:0, ხოლო დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელებმა ინგლისელებს 4:1 დაამარცხეს „დუკლა“.

(საკ.).

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ცხოველთა ქიმიური ენა

ბევრი ხოჭო, მწერები, აგრეთვე თევზები და ძუძუმწოვარნი როგორ უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას, როგორ გადასცემენ ან როგორ იღებენ სხვადასხვა სიგნალებს, ზოგჯერ კი ზემოქმედებასაც ახდენენ ერთმანეთზე, თუმცა დიდი მანძილით არიან ერთმანეთს დაშორებულნი?

ასეთ მოვლენებს სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. იყო აზრი, რომ ცხოველებს დაწყებული მწერებით და დამთავრებული ძუძუმწოვრებით, ბგერითი, მხედველობითი და სხვა სიგნალების ენის გარდა აქვთ ზოოლოგებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ფორმა ურთიერთობისა და ზემოქმედებისა. ეს ჰიპოთეზური დებულება თანდათან დასტურდებოდა ფაქტებით. გამოირკვა, რომ ცხოველები მართლაც უზიარებენ ერთმანეთს ცნობებს მეცნიერებისათვის გაუგებარ ენაზე. მას, რა თქმა უნდა, არა აქვს ფონეტიკა და მორფოლოგია, ძნელია მისი გრამატიკული სტრუქტურის დადგენა. იგი სულ სხვა პრინციპით არის აგებული — ეს ქიმიური სიგნალების ენაა...

რა არის ტელერგონები?

ქიმიური ენის „სიტყვა-სიგნალებია“ ნივთიერებანი, რომლებსაც ვეულებისა და ფყალესაცავების, ტყეებისა და მთების ბინადარნი გამოჭყოფენ. ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, ჩერნოვცის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორმა იაკობ კირშენბლატმა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია სწავლობს ამ პრობლემას, ამ ნ